მაკროეკონომიკური

თიბისი კაპიტალი

# აღდგენის დინამიკა

30.12.2020

# მოკლე შეჯამება

- გასულ კვირაში, თიბისის არხებით უნაღდო ხარჯვის ზრდის ტემპი ფარმაციასა და სურსათის გარდა კატეგორიებზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და დადებით ნიშნულს დაუბრუნდა, რაც სავაჭრო მოლების დროებითი გახსნით და გადავადებული წინასაახალწლო მოთხოვნით იყო განპირობებული
- დროებით შემსუბუქებული შეზღუდვების ფონზე, ტანსაცმელსა და საყოფაცხოვრებო საქონელზე დანახარჯების ზრდის ტემპის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეინიშნება
- დეკემბრის სამომავლო დატვირთულობამ 3% შეადგინა ზღვისპირა სასტუმროებში, 7% თბილისში და 9% კახეთში, ხოლო სხვა რეგიონებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დააფიქსირდა და დატვირთულობამ 14% შეადგინა
- თიბისის არხებში ფულადი შემოდინებების ზრდის ტემპი წინა კვირასთან შედარებით გაუმჯობესდა, შემოდინებები 21-27 დეკემბრის პერიოდში 2019 წლის მაჩვენებელს გაუტოლდა

შენიშვნა: სექტორული ზრდები მოცემულია თიბისი ბანკის არხებით POS და ელ-კომერციის ხარჯვაზე დაყრდნობით; მოცემული ზრდები შესაძლოა განსხვავდებოდეს სექტორებში ბრუნვის ჯამური დინამიკისგან უნაღდო დანახარჯების წილის ცვლილების, ასევე თიბისი ბანკის საბაზრო წილის ცვლილების გამო

# თბილისში საცხოვრებელი უძრავი ქონების ტრანზაქციების დინამიკა წინა კვირასთან შედარებით გაუმჯობესდა

## ბინების გაყიდვის ტრანზაქციების რეგისტრაციების დინამიკა თბილისში (წლიური ცვლილება, %)




- 25 დეკემბრის მდგომარეობით თბილისში ბინების გაყიდვების რეგისტრაციის 7-დღიანი საშუალოს წლიური ცვლილება დადებით ნიშნულს დაუბრუნდა და წ/წ +1% შეადგინა

წყარო: საჯარო რეესტრი

# უნაღდო ხარჯვის ზრდის ტემპი ფარმაციასა და სურსათის გარდა კატეგორიებზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და დადებით ნიშნულს დაუბრუნდა, რაც სავაჭრო მოლების დროებითი გახსნით და გადავადებული წინასაახალწლო მოთხოვნით იყო განპირობებული



## რეზიდენტების უნაღდო დანახარჯები (წ/წ ცვლილება)




## ჯამური უნაღდო დანახარჯები სურსათსა და ფარმაციაზე (წ/წ ცვლილება)




- 21-27 დეკემბრის პერიოდში უნაღდო ხარჯვის წლიური ზრდის ტემპი სურსათზე და ფარმაციაზე მაღალ დონეს ინარჩუნებს, თუმცა გასული კვირის დონესთან შედარებით მცირედით შემცირდა და 49% შეადგინა

- რეზიდენტების მიერ უნაღდო ხარჯვის წლიური ზრდის ტემპი სურსათის და ფარმაციის გარდა კატეგორიებში 21-27 დეკემბრის პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა და 1% შეადგინა, რაც შეზღუდვების დროებითი შემსუბუქებით და გადავადებული წინასაახალწლო მოთხოვნით აიხსნება

წყარო: თიბისი ბანკი

# სავაჭრო მოლების დროებით გახსნის ფონზე, ტანსაცმელსა აქსესუარებზე დანახარჯების ზრდის ტემპის მკვეთრად გაუმჯობესდა



**უნაღდო დანახარჯები ტანსაცმელსა და აქსესუარებზე (წ/წ ცვლილება)**




**უნაღდო დანახარჯები გართობასა და ფიტნესზე (წ/წ ცვლილება)**




წყარო: თიბისი ბანკი

- ტანსაცმელზე უნაღდო ხარჯვის ზრდის ტემპმა 21-27 დეკემბრის პერიოდში წლიურად -23% შეადგინა, რაც წინა კვირასთან შედარებით (-82%) მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული მაჩვენებელია
- გართობაზე და ფიტნესზე დანახარჯები კვლავ მკვეთრად შემცირებულია, 21-27 დეკემბრის პერიოდში ცვლილებამ წ/წ -86% და წ/წ -95% შეადგინა, შესაბამისად

# წინასაახალწლო პერიოდში შეზღუდვების შემსუბუქებასთან ერთად, ასევე გაუმჯობესდა სამშენებლო მასალებსა და საყოფაცხოვრებო საქონელზე უნაღდო ხარჯვის ზრდის ტემპი

## უნაღდო დანახარჯები სამშენებლო მასალებსა და გრძელვადიანი მოხმარების საქონელზე (წ/წ ცვლილება)




- ელექტრონიკაზე უნაღდო ხარჯვის ზრდის ტემპი მკვეთრად გაიზარდა და ზრდის დადებით მაჩვენებელს დაუბრუნდა. ცვლილებამ 21-27 დეკემბრის პერიოდში წ/წ +31% შეადგინა

- 21-27 დეკემბრის პერიოდში სამშენებლო მასალებზე უნაღდო დანახარჯების წლიური ცვლილება მნიშვნელოვნად გაიზარდა და წ/წ -3% შეადგინა

- ავეჯსა და სხვა საყოფაცხოვრებო საქონელზე უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი წინა კვირასთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა. 21-27 დეკემბრის პერიოდში წლიურმა ცვლილებამ -17% შეადგინა

წყარო: თიბისი ბანკი

# პირად ჰიგიენაზე და მანქანის შეკეთებაზე უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი საგრძნობლად გაუმჯობესდა

## უნაღდო დანახარჯები პირად ჰიგიენასა და სხვა სამომხმარებლო საქონელზე (წ/წ ცვლილება)




## უნაღდო დანახარჯები მანქანის შეკეთებაზე, საწვავზე და ტრანსპორტზე (წ/წ ცვლილება)




წყარო: თიბისი ბანკი

- პირად ჰიგიენაზე უნაღდო დანახარჯების წლიური ზრდის ტემპი გასულ კვირასთან შედარებით მკვეთრად გაუმჯობესდა და წ/წ -14% შეადგინა. სხვა სამომხმარებლო საქონელზე ხარჯვის წლიური ზრდის ტემპი დადებით მაჩვენებელს დაუბრუნდა და 21-27 დეკემბრის პერიოდში +9% შეადგინა
- მანქანის შეკეთებაზე უნაღდო დანახარჯების წლიური ცვლილება დადებით ნიშნულზეა და 19% შეადგენს
- საწვავზე უნაღდო დანახარჯები წინა კვირასთან შედარებით მცირედით გაიზარდა და წ/წ -4% შეადგინა

# ექიმთან ვიზიტებზე უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი წინა კვირასთან შედარებით მცირედით გაიზარდა; სამედიცინო აღჭურვილობაზე უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა

**უნაღდო დანახარჯები ექიმთან ვიზიტზე და სამედიცინო აღჭურვილობაზე (წ/წ ცვლილება)**




- ექიმთან ვიზიტებზე უნაღდო დანახარჯების ზრდა წინა კვირასთან შედარებით გაიზარდა და 21-27 დეკემბრის პერიოდში ცვლილებამ წ/წ +24% შეადგინა
- სამედიცინო აღჭურვილობაზე უნაღდო დანახარჯების წლიური ცვლილება დადებით ზრდას უახლოვდება და წ/წ -5% შეადგენს

წყარო: თიბისი ბანკი

# სასტუმროების გამოკითხვა 29.12.2020: მიუხედავათ არსებული შეზღუდვებისა, დეკემბრის სამომავლო დატვირთულობაში მცირედი ზრდები შეინიშნება

**დატვირთულობის მაჩვენებელი ფაქტობრივი და მიმდინარე ჯავშნებით (%)**




- **დეკემბრის სამომავლო დატვირთულობამ** 3% შეადგინა ზღვისპირა სასტუმროებში, 7% თბილისში და 9% კახეთში, ხოლო სხვა რეგიონებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, 14% დაფიქსირდა
- **უქმეების დატვირთულობა:** გასულ კვირასთან შედარებით, უქმეების დატვირთულობა ყველა რეგიონში გაიზარდა, გარდა თბილისისა
- **ფასდაკლებები:** არსებული ჯავშნების მიხედვით, დეკემბერში ყველაზე დიდი ფასდაკლებები სხვა რეგიონების სასტუმროებში დაფიქსირდა, რასაც თბილისი და კახეთი მოყვება. ზღვისპირა სასტუმროებმა შედარებით დაბალი ფასდაკლებები შესთავაზა მომხმარებლებს

წყარო: 26 ბრენდირებული სასტუმროს გამოკითხვა; *რადგან ადგილობრივი ტურისტები ძირითადად წინასწარ არ ჯავშნიან სასტუმროებს, ფაქტობრივი დატვირთულობები სამომავლო დატვირთულობებს აღემატება

# სასტუმროებსა და რესტორნებში უნაღდო დანახარჯები კვლავ მკვეთრად შემცირებულია

## ჯამური უნაღდო არა-რეზიდენტების დანახარჯები (წ/წ ცვლილება)




## უნაღდო დანახარჯები განთავსებასა და გარეთ კვებაზე (წ/წ ცვლილება)




- მიმდინარე კვირაში სასტუმროებზე უნაღდო ხარჯვის წლიური ზრდის ტემპი წინა კვირასთან შედარებით მცირედით შემცირდა და -81% შეადგინა
- რესტორნებში უნაღდო დანახარჯების ცვლილება დაბალ მაჩვენებელს ინარჩუნებს და 21-27 დეკემბრის პერიოდში წ/წ -65% შეადგენს

წყარო: თიბისი ბანკი

# უნაღდო დანახარჯების სექტორული ხარჯვის დინამიკის შეჯამება

## უნაღდო ხარჯვის დინამიკა, 27 დეკემბრის მდგომარეობით (წ/წ % ცვლილება)




წყარო: თიბისი ბანკი

# დეკემბრის მეოთხე კვირაში ფულადი შემოდინებები წინა კვირასთან შედარებით გაუმჯობესდა

## გადარიცხვების დინამიკა-აშშ დოლარში (კურსის ეფექტის გამორიცხვით, 7 დღის საშუალო, წ/წ %)




## გადარიცხვების დინამიკა ქვეყნების/რეგიონების მიხედვით (კურსის ეფექტის გამორიცხვით, წ/წ %)

| ქვეყანა/რეგიონი | 14-20 დეკ | 21-27 დეკ |
|---|---|---|
| ევროკავშირი და დიდი ბრიტანეთი | -3% | 2% |
| ახლო აღმოსავლეთი (თურქეთის ჩათვლით) | 6% | 5% |
| ჩრდილოეთ ამერიკა | 7% | 19% |
| რუსეთი | -20% | -31% |
| უკრაინა | 63% | 20% |
| სომხეთი | 32% | -39% |
| აზერბაიჯანი | 59% | 78% |
| სულ | -5% | 0% |

- ფულადი შემოდინებები წინა კვირასთან შედარებით გაუმჯობესდა და 21-27 დეკემბრის პერიოდში 2019 წლის მონაცემებს გაუტოლდა
- შემოდინებები აზერბაიჯანიდან და უკრაინიდან კვლავ ყველაზე მაღალ ზრდას აჩვენებს, ხოლო შემოდინებები სომხეთიდან ზრდის უარყოფით ნიშნულს დაუბრუნდა. ასევე, ზრდის დადებით მაჩვენებელს ინარჩუნებს შემოდინებები ჩრდილოეთ ამერიკიდან (19% წ/წ) . რუსეთიდან შემოდინებები წ/წ 31%-ით შემცირდა. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან (თურქეთის ჩათვლით) შემოდინებების ზრდის ტემპმა წ/წ 5% შეადგინა.
- შემოდინებების ზრდა ევროკავშირიდან და დიდი ბრიტანეთიდან, საიდანაც ფულადი გზავნილების ყველაზე დიდ წილს შეადგენს, 21-27 დეკემბრის პერიოდში წ/წ 2%-ით გაიზარდა.

წყარო: თიბისი ბანკი, სებ

# განახლებული შეზღუდვების ეფექტი GOOGLE-ის მობილობის დინამიკაზე აისახება



### მობილობა საცხოვრებელ ადგილას (ზრდა იან-თებ საშუალო კვირასთან)




### მობილობა სამუშაო ადგილას (ზრდა იან-თებ საშუალო კვირასთან)




### მობილობა საკვებით ვაჭრობისა და ფარმაციის ადგილებში (ზრდა იან-თებ საშუალო კვირასთან




### მობილობა სამგზავრო სადგურებში (ზრდა იან-თებ საშუალო კვირასთან)




### მობილობა პარკებში (ზრდა იან-თებ საშუალო კვირასთან)




### მობილობა საცალო ვაჭრობისა და სარეკრეაციო ადგილებში (ზრდა იან-თებ საშუალო კვირასთან




წყარო: გუგლი, თიბისი კაპიტალი; შენიშვნა: ზრდა 2020 წლის პირველ 5 კვირასთან შედარებით; * 5/19/2020 -დან 7/2/2020-მდე მონაცემები საქართველოსთვის არ არის ხელმისაწვდომი

# პასუხისმგებლობის შეზღუდვის განაცხადი

პრეზენტაციაში მოცემული განაცხადები, ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - თიბისი კაპიტალის აზრებს და არ წარმოადგენს თიბისი ჯგუფის ოფიციალურ ხედვას, მოსაზრებას ან პოზიციას. პრეზენტაციაში მოცემული ინფორმაცია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებს ემსახურება და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, თუმცალა ინფორმაციის სისრულე და სიზუსტე არ არის გარანტირებული

ეს რეპორტი არ წარმოადგენს საჯარო შეთავაზებას ნებისმიერი შესაბამისის კანონმდებლობის ქვეშ ან/და ნებისმიერ ფასიანი ქაღალდის და ფინანსური ინსტრუმენტის გაყიდვის/შეთავაზების მცდელობას ან/და რეკომენდაციას მსგავს ფასიან ქაღალდებთან ან სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ეს პრეზენტაცია შესაძლოა მოიცავდეს პროგნოზის შემცველ განაცხადებს; მსგავსი პროგნოზის შემცველი განაცხადები მოიცავენ ნაცნობ და უცნობ რისკებს, გაურკვევლობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს. არცერთი ამ პრეზენტაციაში მოცემული პროგნოზი, მოლოდინები, გათვლები არ უნდა იყოს აღქმული როგორც პროგნოზი ან დაპირება, ასევე არ უნდა იყოს აღქმული როგორც ნებისმიერი მინიშნება, რწმუნება ან გარანტია რომ დაშვებები, რომლებსაც მოცემული პროგნოზები, მოლოდინები ან გათვლები ემყარება არის ზუსტი და ამომწურავი, ან დაშვებების შემთხვევაში რომ რეპორტი მოიცავს ყველა დაშვებას

არც თიბისი ჯგუფი და არც მოცემული რეპორტის ავტორები არ იღებენ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი დანაკარგის, რომელიც წარმოიშობა ამ პრეზენტაციის ან მისი შემადგენელი ნაწილების ან პრეზენტაციის ნებისმიერი კავშირის გამოყენების შემთხვევაში. პრეზენტაცია დაცულია საავტორო უფლებებით და მისი არც ერთი ნაწილი არ შეიძლება იყოს აღდგენილი, თავიდან გამოქვეყნებული ან/და განაწილებული. ყველა უფლება დაცულია

**მერი ჩაჩანიძე, CFA**
მმართველი დირექტორი

**თორნიკე კორძაია, CFA**
კვლევების უფროსი

**თამარ ზაქაიძე**
უფროსი ასოცირებული მკვლევარი

**ანდრო თვალიაშვილი**
ასოცირებული მკვლევარი

**ლუკა ჩიგილაშვილი**
ასოცირებული მკვლევარი

**ვლადიმერ ჭოღოშვილი**
სტაჟიორი

**ოთარ ნადარაია**
მთავარი ეკონომისტი, თიბისი ჯგუფი

**ალექსანდრე ბლუაშვილი**
მაკრო-ფინანსური ანალიზის განყოფილების უფროსი, თიბისი ბანკი

**ანა მჟავანაძე**
ანალიტიკოსი

**ჯული ავლოხაშვილი**
სტაჟიორი

Tel: +995 32 2 272727
Email: research@tbccapital.ge
Web-page: www.tbccapital.ge; www.tbcresearch.ge